საქართველოს პარლამენტი

2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვრის შესრულების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2026
თებერვალი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 3,271.3 მლნ ლარი	42.2% 3 თვის გეგმის	10.6% წლიური გეგმის
გადასახდელები - 3,163.1 მლნ ლარი	40.0% 3 თვის გეგმის	10.2% წლიური გეგმის

ნაშთის ცვლილება 108.2 მლნ ლარი	საოპერაციო სალდო 162.8 მლნ ლარი	მთლიანი სალდო -18.4 მლნ ლარი

შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები





გადასახადების სტრუქტურა



ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

2026 წლის იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობები** 3,271.3 მლნ ლარს, წლიური გეგმის (30,759.4 მლნ ლარი) 10.6%-ს და 3 თვის გეგმის[1] (7,757.1 მლნ ლარი) 42.2%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 953.2 მლნ ლარით (41.1%-ით) აღემატება (ძირითადად, ვალდებულებების ზრდის[2] კომპონენტის მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

2026 წლის 1 თვეში, **გადასახდელები** 3,163.1 მლნ ლარს, წლიური გეგმის (30,881.4 მლნ ლარი) 10.2%-ს და 3 თვის გეგმის (7,903.2 მლნ ლარი) 40.0%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის იანვრის მაჩვენებელს 883.6 მლნ ლარით (38.8%-ით) აჭარბებს (ძირითადად, ვალდებულებების კლების კომპონენტის მნიშვნელოვანი მატების გავლენით).





შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, 3 თვის გეგმის მიმართ, შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს შემოსავლებს (33.5%), არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (10.6%), ხოლო ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები მაღალი (შესაბამისად, 67.2%-იანი და 71.1%-იანი) შესრულებით გამოირჩევა.

გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით, 3 თვის გეგმის მიმართ, ხარჯებს შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს (31.6%), არაფინანსური და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლებით გადასახდელები დაბალი შესრულებით ხასიათდება (შესაბამისად, 26.4% და 16.0%), ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები კი მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა და 82.1%-ს შეადგენს.





[1] 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა სამინისტროს 2026 წლის 29 იანვრის №30 ბრძანება).

[2] ვალდებულებების ზრდისა და კლების კომპონენტების მაღალი მაჩვენებლები 2026 წელს დასაფარ ევრობონდებთან დაკავშირებულ ოპერაციებს უკავშირდება, კერძოდ, 2021 წელს გამოშვებული ევრობონდების რეფინანსირებისათვის, 2026 წლის იანვარში 1,346.5 მლნ ლარით ვალდებულებების ზრდის შედეგად, 1,059.7 მლნ ლარი ევრობონდების დასაფარად მიიმართა.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი წლის დასაწყისისათვის 1,465.7 მლნ ლარს გაუტოლდა. 1 თვის შემოსულობებისა და გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვებამ 108.2 მლნ ლარი შეადგინა და 2026 წლის 1 თებერვლისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,573.9 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.



2026 წლის იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო** 162.8 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო **მთლიანმა სალდომ** - 18.4 მლნ ლარი შეადგინა.



გადასახადების სახით, იანვარში, 1,880.4 მლნ ლარია მობილიზებული, რაც 3 თვის გეგმის 33.8%-ს და წლიური გეგმის 8.1%-ს შეადგენს. სახეების მიხედვით, გადასახადების 3 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლები 23.8% - 43.7%-ის ფარგლებში მერყეობს (მ.შ. აქციზი - ყველაზე დაბალი და საშემოსავლო გადასახადი ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადს, 3 თვეში 20.0 მლნ ლარი დაიგეგმა, ფაქტობრივად კი -92.1 მლნ ლარი შეადგინა. 2024 წელთან შედარებით, გადასახადები 59.2 მლნ ლარით (3.2%-ით) გაზრდილია, ერთი მხრივ, ყველა სახის (ძირითადად, საშემოსავლო) გადასახადის მატებისა და მეორე მხრივ, სხვა გადასახადის შემცირების გავლენით.



ხარჯების მაჩვენებელმა 1 თვეში 1,807.3 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 31.6% და წლიური გეგმის 7.8% შეადგინა. სახეების მიხედვით ხარჯების 3 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლებში, პროცენტის მუხლი მაღალი მაჩვენებლით (63.3%) გამოირჩევა, სოციალური უზრუნველყოფის (30.6%), სხვა ხარჯებისა (29.3%) და შრომის ანაზღაურების (29.4%) მუხლები კარგი შესრულებით ხასიათდება, ხოლო საქონლისა და მომსახურების ხარჯებს (23.5%), გრანტებსა (16.4%) და სუბსიდიებს (21.9%), დაბალი მაჩვენებლები აქვს. წინა წელთან შედარებით, ხარჯები 43.1 მლნ ლარით (2.4%-ით) გაზრდილია, ძირითადად, პროცენტის მუხლით გაწეული ხარჯების მატების გავლენით.



დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის 1 თვის ფაქტი	2026 წლის წლიური გეგმა	2026 წლის 3 თვის გეგმა*	2026 წლის 1 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 1 თვის ფაქტთან %
შემოსულობები	**2,318.0**	**30,759.4**	**7,757.1**	**3,271.3**	**42.2%**	**10.6%**	**41.1%**
შემოსავლები	**1,922.0**	**24,996.3**	**5,889.3**	**1,970.1**	**33.5%**	**7.9%**	**2.5%**
გადასახადები	1,821.2	23,200.0	5,567.0	1,880.4	33.8%	8.1%	3.2%
საშემოსავლო გადასახადი	761.6	8,221.0	2,030.0	887.3	43.7%	10.8%	16.5%
მოგების გადასახადი	273.8	3,200.0	945.0	285.4	30.2%	8.9%	4.2%
დღგ	644.4	8,744.0	2,020.0	666.7	33.0%	7.6%	3.5%
აქციზი	109.7	2,700.0	520.0	123.6	23.8%	4.6%	12.7%
იმპორტის გადასახადი	8.6	150.0	32.0	9.4	29.3%	6.3%	8.8%
სხვა გადასახადები	23.0	185.0	20.0	-92.1	-460.4%	-49.8%	-499.9%
გრანტები	5.5	346.3	112.4	3.1	2.7%	0.9%	-44.5%
სხვა შემოსავლები	95.2	1,450.0	209.9	86.7	41.3%	6.0%	-9.0%
არაფინანსური აქტივების კლება	**8.7**	**200.0**	**40.0**	**4.3**	**10.6%**	**2.1%**	**-51.3%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**127.2**	**500.0**	**65.0**	**43.7**	**67.2%**	**8.7%**	**-65.6%**
ვალდებულებების ზრდა	**260.2**	**5,063.1**	**1,762.7**	**1,253.2**	**71.1%**	**24.8%**	**381.7%**
საშინაო	223.2	1,800.0	231.0	-138.4	-59.9%	-7.7%	-162.0%
საგარეო	36.9	3,263.1	1,531.7	1,391.6	90.9%	42.6%	3670.4%
გადასახდელები	**2,279.5**	**30,881.4**	**7,903.2**	**3,163.1**	**40.0%**	**10.2%**	**38.8%**
ხარჯები	**1,764.3**	**23,267.6**	**5,712.4**	**1,807.3**	**31.6%**	**7.8%**	**2.4%**
შრომის ანაზღაურება	222.7	3,420.3	821.0	241.1	29.4%	7.0%	8.3%
საქონელი და მომსახურება	152.2	2,681.5	651.0	152.8	23.5%	5.7%	0.4%
პროცენტი	329.6	1,818.0	598.8	379.3	63.3%	20.9%	15.1%
სუბსიდიები	55.8	1,047.3	267.0	58.4	21.9%	5.6%	4.6%
გრანტები	90.9	2,032.4	344.7	56.6	16.4%	2.8%	-37.7%
სოციალური უზრუნველყოფა	700.3	9,324.2	2,334.1	715.0	30.6%	7.7%	2.1%
სხვა ხარჯები	212.8	2,944.0	695.9	204.1	29.3%	6.9%	-4.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**311.1**	**4,044.0**	**702.3**	**185.4**	**26.4%**	**4.6%**	**-40.4%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**97.0**	**650.0**	**78.7**	**12.6**	**16.0%**	**1.9%**	**-87.0%**
ვალდებულებების კლება	**107.2**	**2,919.8**	**1,409.8**	**1,157.8**	**82.1%**	**39.7%**	**980.2%**
საშინაო	0.1	40.1	10.1	0.0	0.0%	0.0%	-100.0%
საგარეო	107.1	2,879.7	1,399.7	1,157.8	82.7%	40.2%	980.8%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	**38.6**	**-122.0**	**-146.2**	**108.2**			

* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 29 იანვრის ბრძანება №30)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის 1 თვის ფაქტი	2026 წლის წლიური გეგმა	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 1 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 1 თვის ფაქტთან %
შემოსავლები	**1,922.0**	**24,996.3**	**5,889.3**	**1,970.1**	**33.5%**	**7.9%**	**2.5%**
გადასახადები	1,821.2	23,200.0	5,567.0	1,880.4	33.8%	8.1%	3.2%
გრანტები	5.5	346.3	112.4	3.1	2.7%	0.9%	-44.5%
სხვა შემოსავლები	95.2	1,450.0	209.9	86.7	41.3%	6.0%	-9.0%
ხარჯები	**1,764.3**	**23,267.6**	**5,712.4**	**1,807.3**	**31.6%**	**7.8%**	**2.4%**
შრომის ანაზღაურება	222.7	3,420.3	821.0	241.1	29.4%	7.0%	8.3%
საქონელი და მომსახურება	152.2	2,681.5	651.0	152.8	23.5%	5.7%	0.4%
პროცენტი	329.6	1,818.0	598.8	379.3	63.3%	20.9%	15.1%
სუბსიდიები	55.8	1,047.3	267.0	58.4	21.9%	5.6%	4.6%
გრანტები	90.9	2,032.4	344.7	56.6	16.4%	2.8%	-37.7%
სოციალური უზრუნველყოფა	700.3	9,324.2	2,334.1	715.0	30.6%	7.7%	2.1%
სხვა ხარჯები	212.8	2,944.0	695.9	204.1	29.3%	6.9%	-4.1%
საოპერაციო სალდო	**157.7**	**1,728.7**	**176.9**	**162.8**	**92.0%**	**9.4%**	**3.2%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**302.3**	**3,844.0**	**662.3**	**181.2**	**27.4%**	**4.7%**	**-40.1%**
ზრდა	311.1	4,044.0	702.3	185.4	26.4%	4.6%	-40.4%
კლება	8.7	200.0	40.0	4.3	10.6%	2.1%	-51.3%
მთლიანი სალდო	**-144.6**	**-2,115.3**	**-485.4**	**-18.4**	**3.8%**	**0.9%**	**-87.3%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**8.3**	**28.0**	**-132.4**	**77.0**	**-58.2%**	**274.7%**	**822.7%**
ზრდა	**135.5**	**650.0**	**78.7**	**120.7**	**153.4%**	**18.6%**	**-10.9%**
ვალუტა და დეპოზიტები	38.6	0.0	0.0	108.2			180.5%
სესხები	9.8	632.6	78.7	12.6	16.0%	2.0%	28.3%
აქციები და სხვა კაპიტალი	87.1	17.5	0.0	0.0		0.0%	-100.0%
კლება	**127.2**	**622.0**	**211.2**	**43.7**	**20.7%**	**7.0%**	**-65.6%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	122.0	146.2	0.0	0.0%	0.0%	
სესხები	127.2	500.0	65.0	43.7	67.2%	8.7%	-65.6%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0			
ვალდებულებების ცვლილება	**153.0**	**2,143.3**	**352.9**	**95.4**	**27.0%**	**4.5%**	**-37.6%**
ზრდა	**260.2**	**5,063.1**	**1,762.7**	**1,253.2**	**71.1%**	**24.8%**	**381.7%**
საშინაო	223.2	1,800.0	231.0	-138.4	-59.9%	-7.7%	-162.0%
საგარეო	36.9	3,263.1	1,531.7	1,391.6	90.9%	42.6%	3670.4%
კლება	**107.2**	**2,919.8**	**1,409.8**	**1,157.8**	**82.1%**	**39.7%**	**980.2%**
საშინაო	0.1	40.1	10.1	0.0	0.0%	0.0%	-100.0%
საგარეო	107.1	2,879.7	1,399.7	1,157.8	82.7%	40.2%	980.8%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**			

საქართველოს პარლამენტი